



თვითმმართველი თემი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 54

„27“ მაისი 2015 წელი

თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგებელისათვის ბრძანების
ძალადაკარგულად გამოცხადებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის
კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების შესაბამისად,

1. თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგებელს მიეცეს
თანხმობა რათა ძალადაკარგულად გამოაცხადოს „თელავის მუნიციპალიტეტის
საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემის შესახებ“
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 25 ივლისის
№161 ბრძანების პირველი მუხლის მე-7 და მე-8 პუნქტები (ა.ა.ი.პ. თელავის
მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა „კახეთზე“ პირდაპირი განკარგვის წესით,
უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემული თელავის მუნიციპალიტეტის
საკუთრებაში არსებული სოფელ წინანდალში მდებარე მინი სტადიონი, ს/კოდი
№53.03.40.083 და თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ
აკურაში მდებარე მინი სტადიონი ს/კოდი №53.01.43.106);

2. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე;

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ
სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში (ქ. თელავი, დ.
აღმაშენებლის გამზირი №41).

საკრებულოს თავმჯდომარე



გიორგი გიორგობიანი

პაატა გიორგობიანი